ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

მომხმარებელი, რომელიც არის ფიზიკური პირი და რომელიც პროდუქციას შეიძენს პირადი მოხმარების მიზნით, უფლებამოსილია მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ისარგებლოს პროდუქციის დაბრუნების შემდეგი პირობებით:

1. მომხმარებელი ვალდებულია მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს გამყიდველს ქვემოთ მოცემული დაბრუნების ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის დაბრუნების შესახებ.
2. დაბრუნების ფორმა/მომხმარებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ გამყიდველს უნდა გაეგზავნოს შემდეგ მისამართზე: ელ. ფოსტა **Onlinestore@citadeli.com**; **მის: ქ. თბილისი, რ. აგლაძის #32, ციტადელის ოფისი.**
3. მომხმარებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ გამყიდველის ინფორმირებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, საკუთარი ხარჯით დაუბრუნოს გამყიდველს პროდუქცია შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, რ. აგლაძის 32 (მაღაზია ციტადელი +).** აღნიშნული ვადის გასვლის შემხვევაში, გამყიდველი არ არის ვალდებული დაიბრუნოს პროდუქცია).
4. პროდუქციის დაბრუნების საათებია:
   ორშაბათი 10:00 – 17:00 სთ.
   სამშაბათი 10:00 – 17:00 სთ.
   ოთხშაბათი 10:00 – 17:00 სთ.
   ხუთშაბათი 10:00 – 17:00 სთ.
   პარასკევი 10:00 – 17:00 სთ.
   შაბათი 10:00 – 17:00 სთ.
   კვირა 10:00 – 17:00 სთ.
   დღის სხვა მონაკვეთებში პროდუქციის დაბრუნება არ ხდება.
5. მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს შემდეგ შემთხვევებში:
   - დარღვეულია პროდუქციის შენახვის პირობები;
   - დაზიანებულია პროდუქციის შეფუთვა; პროდუქციას დაკარგული აქვს სასაქონლო/სარეალიზაციო იერსახე ან/და სამომხმარებლო თვისებები;
   - პროდუქცია გამოყენებულია;
   - შეძენილი საქონლის ღირებულება არ აღემატება 30 ლარს;
   - შეძენელი საქონლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ ცვლილებაზე, რომელსაც გამყიდველი ვერ აკონტროლებს და რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისთვის დადგენილ ვადაში წარმოიშვა;
   - შეძენილი საქონელი მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული ან აშკარად მის პირად საჭიროებებზეა მორგებული;
   - შეძენილი საქონელი მალფუჭებადია ან მას მოკლე ვარგისობის ვადა აქვს;
   - მომხმარებელს მიეწოდა ჰერმეტულად დაცული საქონელი, მისი ჰერმეტულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო;
   - მიწოდებული საქონელი მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;
6. პროდუქციის დაბრუნების დროს პროდუქციას უნდა ახლდეს შეძენის დროს გადაცემული ყველა თანმხლები ნაწილი და დოკუმენტი (ყუთი, სასაქონლო ზედნადები, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგარანტიო ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოხმარების ინსტრუქცია, ტექნიკური პასპორტი და ა.შ.)
7. პროდუქციის დაბრუნების დროს მომხმარებელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
8. გამყიდველი მომხმარებელს პროდუქტის ნასყიდობისათვის გადახდილი თანხას დაუბრუნებს პროდუქტის დაბრუნებიდან 14 კალენდარულის დღის ვადაში.
9. თანხის დაბრუნება ხდება იმ საბანკო ანგარიშზე, რომლიდანაც განხორციელდა პროდუქციის საფასურის გადახდა. თუ პროდუქციის საფასური გადახდილია გადახდის აპარატით, მომხმარებელს თანხა დაუბრუნდება

საბანკო გადარიცხვის საშუალებით - მომხმარებლის მიერ გამყიდველისთვის მიწოდებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე).

10. თუ ნივთს ან/და ნივთის თანმხლებ ნაწილებს/დოკუმენტებს აღენიშნება რაიმე სახის ცვლილება, გამყიდველი უფლებამოსილია არ დაიბრუნოს პროდუქცია ან მომხმარებლს დაუბრუნოს მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხის ნაწილი ნივთის/თანმხლების ნაწილების/თანმხლების დოკუმენტების შეფასების შესაბამისად.
11. აქციით შესყიდული ნივთის დაბრუნებისას, გამყიდველს უფლება აქვს მომხმარებელს მოთხოვოს აქციით მიღებული ბენეფიტების დაბრუნება.